

## ევროკავშირი საქართველოში რასატარებელ არჩევნებს ელის

მარი ასნიავილი

2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შესახებ ევროკავშირის საგარეო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესმა კომისარმა კეტრინ ეშტონმა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა შტეფან ფიულემ ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.



კეტრინ ეშტონი



შტეფან ფულე

გაზრდილია  
მე-3 გვერდზე

## "ჭეზბოლა": ისრაელის თავდასხმის პასუხად ირანი ამერიკის ბაზებს დაარტყამს



თამთა კახაძე  
ივან შილაკაძე

ლიბანში ბაზირებული შიიტური რადიკალური მოძრაობა "ჭეზბოლა" ლიდერის შასან ნასრალას თქმით, ისრაელის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში ირანი რეგიონში ამერიკის სამხედრო ობიექტებზე თავდასხმას განახორციელებს. ბეირუთის ტელეარხ "ალ-მაიადინისათვის" მიცემულ ინტერვიუში ნასრალა აღნიშნავს, რომ თეირანს გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვს და "საპასუხო დარტყმა ძლიერი იქნება."

გაზრდილია  
მე-4 გვერდზე

## "სვცსოპერაციასთან დაკავშირებულ კითხვებს პასუხი ეტაპობრივად გაეცემა"

საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღვინის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, მძველებს გათავისუფლების მიზნით, საქართველოს შს სამინისტროს მიერ შეიარაღებული დივერსანტების წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციისას გარდაცვლილი სპეცრაზმელი არჩილ ჩოხელი და სამხედრო ექიმი ვლადიმერ ხვედელიძე გუშინ საკუთარ სოფლებში დაკრძალეს (შაბათს ვასვენებს მათთან ერთად დაღუპული სპეცრაზმელი სოლომონ წიკლაური). მცხეთის რაიონის სოფელ ვალაფანში არჩილ ჩოხელის დაკრძალვამდე ცოტა ხნით ადრე, საქართველოს პრეზიდენტთან ერთად მთავრობის სხვა მაღალჩინოსნებიც მივიდნენ და სპეცრაზმელის ოჯახს მიუსამძიმრეს. სამტრედიის კი ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ ხვედელიძის ვასვენებას დაესწრო. სპეცოპერაციისას გარდაცვლილ კაპრალს ვლადიმერ ხვედელიძეს ქვეყნის მხედართმთავარმა ვახტანგ გორგასლის სახელობის I ხარისხის ორდენი მიანიჭა. ჯილდო სააკაშვილმა გარდაცვლილის ოჯახის წევრებს გადასცა.

დაკრძალვის რიტუალი შესრულდა პანკისის ხეობაში. პანკისის მკვიდრი დივერსანტები ასლან მარგოშვილი და ბაჰაუდინ ქავთარაშვილი სამართალდამცველებმა სოფელში ჩაასვენეს და დაკრძალეს. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ დუისის სასაფლაოზე დაკრძალეს კიდევ ერთი ლიკვიდირებული დივერსანტი, რუსეთის მოქალაქე ბაჰაუდინ ბაღაკაშვილი, რომელიც გროზნოშია დაბადებული, თუმცა ნათესავები ჰყავს პანკისის ხეობაში.

გაზრდილია  
მე-2 გვერდზე

## ტაო-კლარჯეთი სხვადასხვა რაკურსიდან

II საერთაშორისო სიმპოზიუმი ბათუმში გაიხსნა

ანა ნულუკიძე

დღეს ბათუმში ტაო-კლარჯეთის რეგიონით დაინტერესებული სამეცნიერო დისკუსია დაიწყო. საერთაშორისო კონფერენცია აღნიშნულ თემაზე წელს მეორედ ტარდება და ის 8 სექტემბრამდე გაგრძელდება. პირველად 2010 წელს გაიმართა.

გაზრდილია  
მე-5 გვერდზე



1 აშშ დოლარი	1.6606\$
1 ევრო	2.0826\$
1 ინგლისური გირვანქა	2.6294\$
1 თურქული ლირა	0.9089\$
100 რუსული რუბლი	5.1422\$

  

თბილისი	28°C - 19°C
ქუთაისი	27°C - 18°C
თელავი	28°C - 14°C
ზუგდიდი	27°C - 18°C
ბათუმი	24°C - 19°C

  

ნავთობი	3.17	+0.04	+1.25%
გაზი	2.79	+0.04	+1.40%
ოქრო	1,689.30	+32.20	+1.91%
ხორბალი	890.50	-12.50	-1.40%

## ბრიტანელი ქრისტიანები უფლებებს სტრასბურგის სასამართლოში დაიცავენ

ოთხმა ბრიტანელმა ქრისტიანმა, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ სამუშაო ადგილები რელიგიური დისკრიმინაციის ნიშნად დაკარგეს, სტრასბურგში ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს მიმართეს. მათ შორის არის ავიაკომპანიის თანამშრომელი ქალი, რომელსაც სამუშაოზე ჯვრის ტარება აუკრძალეს და კონსულტანტი ოჯახის და ქორწინების საკითხებში, რომელმაც გეინყვილებთან მუშაობაზე უარი განაცხადა. მათ სასამართლო პროცესი ბრიტანეთში უკვე წააგეს.

ბრიტანელმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვერდიქტს ბრიტანეთის საზოგადოებაში ქრისტიანთა მდგომარეობის განმტკიცებისათვის საეტიკო მნიშვნელობა ექნება. სტრასბურგის სასამართლოს მიმართეს ბრიტანული ავიაკომპანიის "British Airways" სარეგისტრაციო კლერკმა ნადია ეუეიდამ, ექთანმა შირლი ჩაპლინმა, კონსულტანტმა ოჯახისა და ქორწინების საკითხებში გარი მაკფარლენმა და სამოქალაქო აქტივისტების რეგისტრაციის ოფისის თანამშრომელმა ლილიან ლადელმა.

გაზრდილია  
მე-41 გვერდზე

## ბოსნიური სტატიისტიკა

ზურაბ თალაკვაძე  
დღეს ბოსნიასთან საინტერესო მატჩი იქნება. ვიგებთ და სლოვენიაში, ევრო-

პის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვართ. წაგება არ შეიძლება, უხერხული იქნება. უხერხული ბოსნიაში მოგების შემდეგ და რეალურად - ძალიან ძნელი. ბოსნია მირზა

ტელეტვიზიით და კიდევ რამდენიმე კარგი ბიჭით ჩამოვიდა. ბოსნია გადასწეს ლატვიის (64:80) და თბილისში ფავორიტები ვართ.

გაზრდილია  
მე-7 გვერდზე



მირზა ტელეტვიზიი საშუალოდ 25.7 ქულას იღებს

"24 საათი" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)  
ჩვენი პარტნიორები:

**თბილისი ბანკი**  
TBC BANK  
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

**FM 102.4**  
საბავშვო სარადიო

**ბანკი კონსტანტა**  
BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121  
9177198719121001







# ტაო-კლარჯეთი სხვადასხვა რაკურსიდან

პირველი გვერდიდან

სწორედ არსებული სამეცნიერო ინტერესების გაძლიერების გამო ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ კონფერენციამ ტრადიციული სახე მიიღოს და 2 წელიწადში ერთხელ ჩატარდეს.

2010 წლის ოქტომბერში ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარდა საერთაშორისო, ინტერდისციპლინური კონფერენცია "ტაო-კლარჯეთი (ისტორია და პერსპექტივები უახლესი კვლევების ფონზე)", რომელშიც ამ რეგიონით დაინტერესებულმა, სხვადასხვა სპეციალობის ათეულობით ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტმა მიიღო მონაწილეობა.

ინტერესი ისტორიული რეგიონისადმი, რომელსაც პირობითად "ტაო-კლარჯეთს" ვუწოდებთ, სამეცნიერო წრეებში ყოველთვის დიდი იყო. თუმცა მიზეზთა გამო,

ათწლეულების მანძილზე, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი რეგიონის ადგილზე კვლევა ძალზე ძნელი ან შეუძლებელი იყო. უკანასკნელ პერიოდში ვითარება რადიკალურად შეიცვალა: ხელოვნური ბარიერების მოხსნამ შესაძლებელი გახადა მხარის ინტენსიური შესწავლა, შესაბამისად, ენობა დაინტერესებულ მკვლევართა ექსპედიციები ტაო-კლარჯეთში; სულ უფრო და უფრო აქტიური ხდება სამეცნიერო კვლევები

რეგიონის ისტორიის, ძეგლების, მოსახლეობის შესახებ; "იზრდება ინტერესი უცხოელ მკვლევართა შორისაც, განსაკუთრებით საგულახდომი რეგიონის ძეგლებით თურქი სპეციალისტების დაინტერესება; ფართო

საზოგადოებაში დღითიდღე იზრდება თურქეთის ამ ნაწილში ტურისტული მოგზაურობის მსურველთა რიცხვი. ყოველივე ამის შედეგად, რეგიონის კვლევა თვისობრივად ახალ ეტაპზე ავიდა. ახალმა მოცემულობამ და თანამედროვე რეალობამ კი, თავის მხრივ, დღის წესრიგში განახლებული ამოცანები დააყენა: ისტორიული ტაო-კლარჯეთის კომპლექსური და ინტერდისციპლინური კვლევა, დაგროვილი ცოდნის სისტემატიზება; რეგიონით დაინტერესებულ



ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა მეტი კოორდინირება, ერთობლივი საერთაშორისო პროექტების განხორციელება; ტაო-კლარჯეთისადმი სამეცნიერო ინტერესის კიდევ მეტად გაღვივება; განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი ძეგლებისა და იმ მიკრორეგიონების შესწავლა, რომლებიც, კაშხლების მშენებლობის გამო, უახლოეს მომავალში იტბორება; განსაკუთრებული ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ძეგლთა გადაუდებელი რესტავრაცია; ფართო საზოგადოებაში ტაო-კლარჯეთის ძეგლთა მეტი პოპულარიზება და სხვა," - აღნიშნავენ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ამ ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო ფორუმების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება, სადაც ტაო-კლარჯეთის თემით დაინტერესებული ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები საკუთარ კვლევებსა და ხედვებს წარმოადგენენ, რაც, რეგიონის მრავალმხრივი შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ეფექტურია.

ბუბა კუდავა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი: "2 წლის წინ ტაო-კლარჯეთის შესახებ ჩატარებულმა თემატურმა სამეცნიერო კონფერენციამ კარგად წამოაჩინა ის აქტუალურობა, რაც ამ რეგიონის კვლევას უკავშირდება.

ტაო-კლარჯეთის რეგიონი რამდენიმე კუთხით არის მეცნიერებისათვის საინტერესო: ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე გაძნელებული იყო ამ რეგიონში სამეცნიერო კვლევის ჩატარება, ბოლო 20 წელია, რაც ნელ-ნელა ხელმისაწვდომი გახდა. რეგიონი დიდია და მრავალფეროვანი; მოსახლეობის, დიალექტების, ტოპონიმების, ისტორიის თუ არქიტექტურის საკითხები უამრავ საინტერესო მასალას შეიცავს.

კვლევის აქტუალურობას განსაზღვრავს ამ რეგიონში დაწყებული კაშხლების მშენებლობაც, რომელიც ბევრ ისტორიულ დასახლებას ტბორავს, რის გამოც იკარგება სხვადასხვა მნიშვნელობის არქიტექტურული ნიმუშები და ტოპონიმები.

ბოლო წლებში ძალიან ბევრს ვსაუბრობთ ტაო-კლარჯეთში არსებულ საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლების მდგომარეობაზე, მათ აღდგენაზე. ამ კუთხით ბევრი საკითხი მოითხოვს სამეცნიერო განხილვას და დამუშავებას. აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონის მოსახლეობა ნელ-ნელა ივიწყებს ქართულ დიალექტს, დავიწყებს ეძლევა გეოგრაფიულ ადგილთა სახელები, გადმოცემები, რაც სასწრაფოდ ჩასაწერია.

ჩვენ მიერ გასულ წლებში

ჩატარებულმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებმა ბევრი უცხოელი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო და ამან განაპირობა ის, რომ წელს, დაახლოებით, 30 უცხოელი და 100-მდე ქართველი მეცნიერი მონაწილეობს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტიც, რომ მონაწილეთა შორის 10-მდე თურქი მეცნიერია. დაახლოებით ათი წლის წინ არც ერთი თურქი მეცნიერი არ მუშაობდა ამ რეგიონის საკითხებზე, არქიტექტურა იქნებოდა ეს თუ ისტორია. ეს თანამშრომლობა იმედისმომცემია, რადგან ბევრი სადავო საკითხია, რომელზეც გვაქვს სამსჯელო. ბოლო პერიოდში კი ვხედავთ ტენდენციას, რომ თურქი მეცნიერები ცდილობენ, ობიექტური ინფორმაცია მოიპოვონ და მასშტაბურად იკვლიონ. ობიექტური ინფორმაცია მნიშვნელოვანია ამ რეგიონის საზოგადოებისთვისაც. უამრავი ქართული ძეგლი ითვლებოდა სომხურ თუ ქრისტიან ყიფილთა აშენებულად."

"ტაო-კლარჯეთის" პირველი კონფერენციის მასალები ორი წლის წინ ერთ ტომად გამოიცა. ცალკე ტომად გამოვა წლევიანდელი მასალებიც, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების ფართო ფენებისათვის.

# მაიკლ კლარკ დანკანის მწვანე მილი

ზურაბ თალაკვაძე

მაიკლ კლარკ დანკანს დიდი გული ჰქონდა. ბუთხუზა გიგანტი "მწვანე მილიდან" და კარგი შვილი თავისი მშობლებისთვის, ამერიკელი მსახიობი, მისტერ დანკანი ლოს ანჯელესის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. შვიდი კვირის წინ, იუმორის მთას, დანკანს ინფარქტი დაუძმავა და დაიღუპა. შვიდი კვირის წინ, იუმორის მთას, დანკანს ინფარქტი დაუძმავა და დაიღუპა. შვიდი კვირის წინ, იუმორის მთას, დანკანს ინფარქტი დაუძმავა და დაიღუპა.



კეთილი ღიმილი. ღიმილი, რომელიც მაიკლთან ერთად დაიბადა და მაიკლთან ერთად წავიდა. მოუქნელი დათვი მაიკლ ბენის გემრიელ პიცაში Armageddon. ფრენკი ქილერ-გამსაღებელი ლადავში The Whole Nine

Yards ატარი პიელ ბულის შედეგზე გადაღებულ ბლოკბასტერში Planet of the Apes პანკი მეომარი ბალთაზარი ფენთეზიში The Scorpion King. შავი ანგელოზი დიდი გასეირნებიდან The Green Mile.

მაიკლ კლარკ დანკანი ნომირებულია ოსკარზე. პოლ კოფის პერსონაჟმა ოსკარამდე ვერ გაქაჩა და კინოაკადემიას შეუძლია, ის ქანდაკება ერთ ადგილზე გაიკეთოს.

ბოლო მილი ჩვენი მოგონებების კრებულია. მაიკლ კლარკ დანკანის 54 წელიწადიკ მოგონებების კრებული იყო. გზა, რომელიც არ დასრულებულა. მაიკლი იქ, მეორე სამყაროში უკეთეს სამყაროს მოეფერება და იქ დარჩება.

მწვანე მილზე ყველა გავივლით. გააჩნია, იმ გზაზე ვინ დავაყენებს და რა თვალებით გავვაცილებს. პოლ კოფი მწვანე მილზე მისტერ ეჯკომბმა გააცლია. მაიკლ კლარკ დანკანის მწვანე მილი ჩვენი მწვანე მილია. იქამდე, სანამ ჩვენც გავვაცილებენ.



## 5 სექტემბერი

კინო

### "შუჩერებელი 2"

რეჟისორი: საიმონ უესტი  
როლებში: სილვესტერ სტალონე, ლიამ ჰემსვორტი, ჯეისონ სტეტჰემი, ჯეტ ლი, ჟან-კლოდ ვან დამი, ბრუს უილისი, არნოლდ შვარცნეგერი, ჩაკ ნორისი  
ჟანრი: მძაფრსიუჟეტისანი სათავგადასავლო ხანგრძლივობა: 102 წთ.  
გახმოვანება: რუსული  
რუსთაველი - 13.30; 15.45; 18.00; 20.15; 22.30  
ამირანი - 13.3; 15.30; 17.45; 20.00; 22.30

### "პირანია"

რეჟისორი: ჯონ გულაჟერი  
როლებში: დანიელ პანაბიკერი, მეთ ბუში, დევიდ კოკრენი, კატრინა ბოუდენი  
ჟანრი: კომედია სამინელება ხანგრძლივობა: 83 წთ.  
გახმოვანება: რუსული  
რუსთაველი - 13.45; 20.45; 22.30  
ამირანი - 16.00; 22.30

### "უბნის მაყურებლები"

რეჟისორი: აკივა შაფერი  
როლებში: ბენ სტილერი, ვინს ვონი, ჯონა ჰილი  
ჟანრი: კომედია ხანგრძლივობა: 102 წთ.  
გახმოვანება: რუსული  
რუსთაველი - 16.00; 18.45; 22.30;  
ამირანი - 14.00;

### "ტედი"

რეჟისორი: სეთ მაკფარლენი  
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლენი, ჯოელ მაკპეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი  
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა ხანგრძლივობა: 106 წთ  
რუსთაველი - 13.45; 18.00; 20.15;  
ამირანი - 18.00;

### "ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი  
როლებში: კრისტიან ბელი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი  
ჟანრი: მძაფრსიუჟეტისანი დრამა ხანგრძლივობა: 165 წთ  
გახმოვანება: რუსული  
რუსთაველი - 15.30

### "რომის არდადეგები"

რეჟისორი: ვუდი ალენი  
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენბერგი, ალექ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი  
გახმოვანება: რუსული  
ამირანი - 20.15; 2

### გალერეა

**ეროვნული გალერეა**  
"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"  
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

ალექსანდრე ბანძელაძე - საზღვრებს მიღმა

### ახალი გალერეა

თანამედროვე ქართველი მხატვრები რუსთაველი  
"არმაზი, მზესუმზირა, ზუმფიზარი და კაპა"





# ზაფხულის TOP 10 ტრანსფერი

## ვასილ უღვასვილი

ზაფხულის დასრულებასთან ერთად დაიხურა სატრანსფერო ფანჯარა და ურიგო არ იქნება, თუ 2012-13 წლების სეზონის წინა ათ ხმაურიან ტრანსფერზე ვისაუბრებთ. ცხადია, ათეულში ყველაზე ძვირად ღირებულ ტრანსფერებს ვგულისხმობთ.

### 1. ტიაგო სილვა ("მილანიდან" პსჟ-ში, 42 მილიონი ევრო)

იყო დრო, როდესაც ტიაგო სილვა მოსკოვის "დინამოს" ძირითადში ვერ ხვდებოდა, ახლა კი ბრაზილიის ნაკრების ძირითადი ცენტრალური მცველია. "მილანში" მან საოცარ პროგრესს მიაღწია და არაერთი პირადი ჯილდო მოიგო. ერთი სიტყვით, სილვა უფრო დიდი ამბებისთვის ან უფრო დიდი ხელფასისთვის მომწიფდა და "მილანიდან" მაინც პსჟ-სკენ აიღო გეზი. პარიზულმა კლუბმა "როსონერის" ისეთი წინადადებით მიმართა, რომელზეც უარს არ ამბობენ. ტიაგო სილვა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი პარიზულმა კლუბმა ჯამში 63 მილიონ ევროდ იყიდა. ბერლუსკონი საკუთარ თავს უღალატებდა, რომ ასეთ შეთავაზებაზე უარი ეთქვა.

### 2. ედენ აზარი ("ლილიდან" "ჩელსიში" - 40 მილიონი ევრო)

ზაფხულის ყველაზე დამინტრიგებელი ტრანსფერი სწორედ ბელგიელ აზარს უკავშირდება. თავიდან 21 წლის ფეხბურთელმა განაცხადა, რომ აუცილებლად მანჩესტერში გადავიდოდა სათამაშოდ, თუმცა, არ დაუკონკრეტებია, ამ ქალაქის რომელ გუნდს გულისხმობდა. სანამ სპეციალისტები მარჩიელობდნენ, სად აღმოჩნდებოდა ბელგიელი ტალანტი, "ჩელსიმ", ჩემპიონთა ლიგის მოგებასთან ერთად, აზარის გულიც მოიგო და ფეხბურთელიც დაიბეჭა.

### 3. ლუკას მოურა ("სან პაულოდან" პსჟ-ში - 40 მილიონი ევრო)

ახალგაზრდა ბრაზილიელი ტალანტები, წინამორბედების დარად, სამშობ-



ლოს დატოვებს არ ჩქარობენ და, სულ მცირე, 20 წლამდე მაინც თამაშობენ ბრაზილიის ჩემპიონატში. მხოლოდ შემდეგ იღებენ გეზს ევროპისკენ. ასე მოიქცა ლუკას მოურაც ან, უბრალოდ, მარსელინო, რომელიც 20 წლამდე "სან პაულოს" ერთგული იყო და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა ევროპაში ძალის მოსინჯვა. თავის ახალ გუნდს პსჟ-ში მოურა იანვარში გადავა, თუმცა, პარიზულმა გრანდმა ფეხბურთელი ზაფხულშივე დაიბეჭა და "სან პაულოს" საჭირო თანხა გადაუხადა.

### 4. ხავიერ მარტინესი ("ატლეთიკიდან" "ბაიერნი" - 40 მილიონი ევრო)

მიუხედავად იმისა, რომ ტრანსფერი უკვე შედგა, გერმანიაში დღემდე დავობენ, ღირდა თუ არა ბასკი ფეხბურთე-

ლის ყიდვა. აზრი ორად არის გაყოფილი. ზოგს მიაჩნია, რომ "ბაიერნი" გაუმართლა, ზოგი კი თვლის, რომ "რეკორდმანსტერმა" ფული წყალში გადაყარა. ფეხბურთელი, რომელსაც ევროპის ჩემპიონატზე ნახევარ საათზე მეტი არ უთამაშია, ბუნდესლიგის რეკორდსმენი გახდა. ესოდენ დიდი თანხა არც ერთ გერმანულ კლუბს არ გადაუხდია. "ბაიერნი" 23 წლის ესპანელთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ტრანსფერის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მიუხედავად კლუბმა კარგი ინვესტიცია გააკეთა. საბოლოოდ ყველაფერს დრო გვიჩვენებს. გავიგებთ, ვინ არის მართალი - ამ ტრანსფერის მომხრეები თუ მონინალდმდეგეები.

### 5. ლუკა მოდრიჩი ("ტოტენჰემი-

### დან" "რეალში" - 35 მილიონი ევრო)

"როგორც იქნა, ეს მოხდა", - აი ლუკა მოდრიჩის პირველი სიტყვები "რეალში" გადასვლის შემდეგ. ხორვატი ფლეიმიქერი "ტოტენჰემიდან" გაქცევას უკვე დიდი ხანია ცდილობდა.

"რეალში" ბევრს მიაჩნია, რომ კლუბმა ხორვატი ფეხბურთელში ბევრი გადაიხადა. თუმცა... მოდრიჩი არც ჩაბი ალონსოა, რომელიც მეტოქის შეტევებს შლის და ბრწყინვალე პირველი პასი აქვს, არც სემი ხედირა, რომელიც თავდაუზოგავად მუშაობს და არც კრეატიული მესუთ იოზილია. მოდრიჩი ერთგვარად ამ სამი ფეხბურთელის ნახავია და მოურიხო მას იდეურად გამოიყენებს. ხორვატი ფეხბურთელს ამ სამეულიდან ნებისმიერის შეცვლა შეუძლია და მინდორზე ძალიან სასარგებლო იქნება. "ტოტენჰემის" მთავარ მწვრთნელს ანდრე ვილიამ-ბოაშს კი მოდრიჩის შემცვლელის მოძებნა ნამდვილად გაუჭირდება.

### 6. ოსკარი ("ინტერნასიონალიდან" "ჩელსიში" - 32 მილიონი ევრო)

მეორე ბრაზილიელი ოლიმპიელი, ვინც ვერ გაუძლო ევროპაში გადასვლის ცდუნებას. 20 წლის ბრაზილიელის აქტივობა უკვე არის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. მართალია, ახალგაზრდებს შორის, თუმცა, 20 წლის ფეხბურთელისთვის ესეც ძალიან პრესტიჟულია. თანაც ახალგაზრდული მუნდიალის ფინალში სწორედ ოსკარის ჰეთ-თრეკი მოუტანა ბრაზილიელს გამარჯვება. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდული მუნდიალის ფინალში გატანილ ყოველ გოლში "ჩელსიმ" 10 მილიონი ევრო გადაიხადა. ამ ახალგაზრდის ყიდვით "ჩელსიმ" კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მომავალზე აკეთებს აქცენტს.

### 7. რობინ ვან პერსი ("არსენალიდან" "მანჩესტერში" - 30.7 მილიონი ევრო)

გასულ სეზონში პრემიერ ლიგის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული ჰოლანდიელი ბომბარდირი რობინ ვან პერსი, პირადი ტიტულების გარდა,

გუნდურ ჯილდოებზეც ოცნებობს. ამიტომაც გადავიდა სერ ალექს ფერგიუსონის გუნდში. მართალია, ეს ტრანსფერი ყველაზე ძვირად ღირებული არ არის, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულია. ამ ტრანსფერმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ "არსენალის" მესვეურები ტიტულების მოგებაზე დიდად არ ფიქრობენ. ლონდონური კლუბის ბოსებისთვის სპორტულ მიღწევებზე უფრო მნიშვნელოვანია ფინანსური მოგება.

### 8. ივზევილ ლავეზი ("ნაპოლიდან" პსჟ-ში - 26 მილიონი ევრო)

ამ ფეხბურთელზე რუსული კლუბები ნადირობდნენ, მაგრამ ვერც "ზენიტმა" და ვერც "ანჟიმ" ვერ მოახერხეს პსჟ-ს მესვეურთა წინადადებაზე უკეთესის მოფიქრება. შესაძლოა, რუსებს პარიზულ კლუბზე მეტიც გადაეხადათ, მაგრამ თავად ლავეზის ურჩენია იცხოვროს პარიზში, ვიდრე რუსეთის რომელიმე ქალაქში, თუნდაც სანკტ პეტერბურგში.

### 9. ზლატან იბრაჰიმოვიჩი ("მილანიდან" პსჟ-ში - 21 მილიონი ევრო)

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, შეედი გლადიატორი პარიზული კლუბის ყველაზე მოკრძალებული შენაძენია. თავად განსაჯეთ: "იბრას" შექენაზე პარიზული კლუბის სატრანსფერო ბიუჯეტის მეშვიდეზე მეტი არ დახარჯულა. მიმდინარე ზაფხულში პსჟ ალბათ ყველაზე მეტად გაძლიერდა. ზლატანის ყიდვით პარიზული კლუბი სოლიდურ ძალად იქცა. "მილანი" კი ზლატანისა და ტიაგო სილვას გაყიდვით აშკარად შესუსტდა.

### 10. ხავი გარსია ("ბენფიკადან" "სიტინი" - 20.2 მილიონი ევრო)

სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე რამდენიმე საათით ადრე "ქალაქელებმა" ეს ფეხბურთელი იყიდეს და ტოპ ტრანსფერების ათეულში შევიდნენ. არადა, უხერხული იქნებოდა, რომ "სიტინი" ზაფხულის ყველაზე ძვირად ღირებულ ტრანსფერთა ათეულში არ ყოფილიყო.

## გამომცემლობა ინტელექტი

გთავაზობთ

## ერთი შედეგის ყველა ქართული თარგმანი

მსოფლიო კლასიკოსები და ქართველი მთარგმნელები შედეგების თარგმნის უწყვეტი ტრადიცია

**მრავალტომიანი**

დაგვიკავშირდით:

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N5  
 ტელ: (+995 32) 2 25 05 22  
 (+995 32) 2 47 55 54  
 intelekti@caucasus.net  
 info@intelekti.ge  
 www.intelekti.ge

www.intelekti.ge

კალდარა ჯილინი

თუ

კაბო ვილიამსი  
 მრავალტომიანი თარგმანი

JOHANN WOLFGANG GOETHE

Über allen Gipfeln ist Ruh,  
 In allen Wipfeln flücht die  
 Raum einen Hauch;  
 Die Vögelin schweigen im Walde.  
 Warte nur, balde  
 Ruhest du auch.

ბარტე

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

მგზავრის ღამეული სიმღერა

კაბო ვილიამსი  
 მრავალტომიანი თარგმანი

WILLIAM SHAKESPEARE

უილიამ შექსპირი

სამოცდაშვიდობა სონეტი

კაბო ვილიამსი  
 მრავალტომიანი თარგმანი

უოლტ უიტმანი

ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო...

უალტ უიტმანი  
 მრავალტომიანი თარგმანი

Борис Пастернак

ЗИМНЯЯ НОЧЬ

პორის პასტერნაკი

ზამთრის ღამე

კაბო ვილიამსი  
 მრავალტომიანი თარგმანი

МАРИНА ЦВЕТАЕВА

მარინა ცვეტაევა

МНЕ НРАВИТСЯ, ЧТО ВЫ  
 БОЛЬШЕ НЕ МНОИ

ელზარ ალან კო

ყორანი

კაბო ვილიამსი  
 მრავალტომიანი თარგმანი

Edgar Allan Poe

ელზარ ალან კო

ყორანი

კაბო ვილიამსი  
 მრავალტომიანი თარგმანი

FRANÇOIS VILLON

ფრანსუა ვილიონი

მრავალტომიანი თარგმანი

კაბო ვილიამსი  
 მრავალტომიანი თარგმანი